ხელშეკრულება №

ქ. თბილისი 25 ნოემბერი 2013 წ.

ერთის მხრივ, **შპს "თბილისი არტ ჰოლი"** წარმოდგენილი მისი დირექტორის ნანა გოდერძიშვილის სახით, /შემდგომში "გამქირავებელი"/, და მეორეს მხრივ, **აიპ "თბილისის ქართული ფოლკლორის მოსწავლეთა სასახლე"** წარმოდგენილი მისი დირექტორის თამაზ ანდღულაძის სახით /შემდგომში "დამქირავებელი"/, ორივე ერთად შემდგომში „მხარეებად" წოდებულნი, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. გამქირავებელი გადასცემს, ხოლო დამქირავებელი დროებით სარგებლობაში ქირით იღებს გამქირავებლის უფლებრივ საკუთრებაში არსებულ ქონებას;
1.2. ქონება მოიცავს: თბილისი არტ ჰოლის შენობაში მდებარე საკონცერტო დარბაზს, საგრიმიორო ოთახს და გასახდელს. მის: ქ. თბილისი, ც. დადიანის 26/ჩოდრიშვილის №2 (შემდგომში "ქონება");
1.3. დამქირავებელი ქირავნობის საგანს იყენებს ერთჯერადად, კონცერტის ჩატარების მიზნით, მიმდინარე წლის **20 დეკემბერს** 18:00 საათიდან 22:00 საათამდე.

2. ქირის საფასური და ანგარიშსწორების წესი

2.1. ხელშეკრულების საგნის მთლიანი ღირებულება შეადგენს 2000 (ორი ათასი) ლარს დ.ღ.გ.-ს ჩათვლით, რაც დამქირავებლის მიერ სრულად უნდა იქნეს გადახდილი 3 (სამი) სამუშაო დღის განმავლობაში მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის შედგენის დღიდან;
2.2 დამქირავებლი იღებს ვალდებულებას 2.1. პუნქტით გათვალისწინებული თანხის 10% გადაუხადოს გამქირავებელს წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელის მოწერიდან 2 (ორი) სამუშაო დღის განმავლობაში;
2.3 მხარეებს შორის ანგარიშსწორება წარმოებს ნაღდი ან უნაღდო ანგარიშსწორების წესით, მხარეთა შეთანხმების შესაბამისად;
2.4. ქირის გადახდის ვადის დარღვევის შემთხვევაში დამქირავებელს ეკისრება პირგასამტეხლო გადასახდელი თანხის 0,1%-ის ოდენობით. ამ უფლების გამოყენება ხდება უფლების მქონე მხარის ნების შესაბამისად და არ ატარებს სავალდებულო ხასიათს.

3. ქირავნობის საგნის გადაცემა

3.1. გამქირავებელი ქირავნობის საქანს გადასცემს დამქირავებელს მ/წ 20 დეკემბერს მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის შედგენის საფუძველზე;

4. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

4.1. გამქირავებელი ვალდებულია:
4.1.1. გადასცეს დამქირავებლის ქონება წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად.
4.2.1. უზრუნველყოს დამქირავებლის მიერ ქონების შეუფერხებელი და სრული გამოყენება მთელი ქირავნობის ვადის განმავლობაში.

4.2. გამქირავებელი უფლებამოსილია მოითხოვოს დამქირავებლის ბრალით მიყენებული ზიანის ანაზღაურება;
4.3. **დამქირავებელი ვალდებულია:**
4.3.1 გადაიხადოს ქირა ამ ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
4.3.2. დაიცვას ხანძარსაწინააღმდეგო, სანიტარული, ტექნიკური, და უსაფრთხოების სხვა წესები;
4.3.3. გამოიყენოს დაქირავებული ქონება მხოლოდ წინამდებარე ხელშეკრულების 1.3 პუნქტით გათვალისწინებული მიზნებისათვის;
4.3.4. არ აწარმოოს არავითარი რეკონსტრუქცია გამქირავებლის თანხმობის გარეშე;
4.3.5. წინამდებარე ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ დაუბრუნოს ქირავნობის საგანი გამქირავებლის იმ მდგომარეობაში, რომელიც მისგან მიიღო, ნორმალური ცვეთის გათვალიწინებით.
4.4. **დამქირავებელი უფლებამოსილია:**
4.4.1 ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ დაიტოვოს ის, რითაც მან ნაქირავები ქონება აღჭურვა ან გააუმჯობესა (აღნიშნული შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ გამქირავებლის თანხმობით) ან მიიღოს შესაბამისი კომპენსაცია;
4.4.2. .მოსთხოვოს გამქირავებელს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და განუხრელი შესრულება.

5. ქონების დაბრუნება

5.1 ქირის ვადის გასვლისთანავე დამქირავებელი ვალდებულია დაუბრუნოს ქონება გამქირავებელს იმ მდგომარეობაში როგორშიც ის მიიღო.

6. მხარეთა პასუხსაგები განცხადებები

6.1. მხარეები აცხადებენ, რომ მათ გააჩნიათ იურიდიული უფლებამოსილება, იკისრონ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალიწინებული ვალდებულებები და მიიღონ ყველა საჭირო ზომა ამ ხელშეკრულების ძალაში შესვლისა და შესრულების მიზნით.
6.2. მხარეები აცხადებენ, რომ წინამდებარე ხელშეკრულება ხელმოწერილია მხარეების მიერ შესაბამისი წესით და წარმოადგენს იურიდიულად სავალდებულო დოკუმენტებს.
6.3. გამქირავებელი აცხადებს, რომ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მას აქვს ყველა უფლება გადასცეს დამქირავებელს ქირის საგანი უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო მდგომარეობაში.

7. ხელშეკრულების მოქმედების ვადა.

7.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მასზე ხელის მოწერის დღიდან და ძალაშია მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებამდე.

8. პასუხისმგებლობა

8.1 მხარეები პასუხს აგებენ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი

შესრულებისათვის და კისრულობენ ვალდებულებას სრულად აუნაზღაურონ ერთმანეთს ამ ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანი.
8.2 მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან თუ ნაკისრი ვალდებულელების შეუსრულებლობა გამოწვეულია დაუძლეველი ძალის მოქმედების პერიოდში.

9. დავათა გადაწყვეტა

9.1 მხარეები ეცდებიან ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებული ყველა დავა გადაჭრან მოლაპარაკების გზით, ხოლო შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მიმართავენ სასამართლოს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10. დასკვნითი დებულებები

10.1 წინადებარე ხელშეკრულებაში დამატების ანდა ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა შეთანხმებით. ამასთან ცვლილება ანდა დამატება შესრულებული უნდა იყოს წერილობით და სათანადოდ ხელმოწერილი მხარეთა მიერ.
10.2 წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე დებულების ან ნაწილის ბათილად ცნობა არ გამოიწვევს მთლიანად ხელშეკრულების ბათილობას, თუკი სავარაუდოა, რომ ხელშეკრულება ამგვარი ბათილი ნაწილის გარეშეც დაიდებოდა ხელშეკრულება.
10.3. მხარეები ადასტურებენ, რომ წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია გონივრული განსჯის შედეგად და მასზე ხელმომწერ პირებს აქვთ სათანადო უფლებამოსილება.
10.4 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად ქართულ ენაზე. მხარეებს გადაეცემათ თითო-თითო ასეთი ეგზემპლიარი.

11. მხარეთა ხელმოწერები:

გამქირავებელი:	დამქირავებელი:
შპს „თბილისი არტ ჰოლი" ქ. თბილისი, ც. დადიანის 26/ ჩოდრიშვილის 2. ს/კ 400005016 სს „თიბისი ბანკის" ნაძალ. ფილ. ბანკის კოდი: 220101820 ა/ა GE47 TB77 0083 6080 1000 01 / GEL	აიპ "თბილისის ქართული ფოლკლორის მოსწავლეთა სასახლე" ქ. თბილისი. აღმაშენებლის გამზ. №103 ს/კ 202056069
დირექტორი:	დირექტორი:
_____ ნ. გოდერძიშვილი	_____ თ. ანდღულაძე

მიღება - ჩაბარების აქტი №1

ქ. თბილისი 20.12.2013წ.

ერთის მხრივ, შპს "თბილისი არტ ჰოლი" წარმოდგენილი მისი დირექტორის ნანა გოდერძიშვილის სახით, /შემდგომში "გამქირავებელი"/, და მეორეს მხრივ, აიპ "**თბილისის ქართული ფოლკლორის მოსწავლეთა სასახლე**" წარმოდგენილი მისი დირექტორის თამაზ ანდღულაძის სახით /შემდგომში "დამქირავებელი"/, ვადგენთ წინამდებარე აქტს მასზედ, რომ

მხარეთა შორის 2013 წლის 25 ნოემბერს დადებული № ქირავნობის ხელშეკრულების შესაბამისად გამქირავებელმა დამქირავებელს დროებით სარგებლობაში გადასცა ქ. თბილისში, ც. დადიანის 26-ში მდებარე თბილისი არტ ჰოლის შენობაში მდებარე:

- საკონცერტო დარბაზი;
- საგრიმიორო ოთახი;
- გასახდელი ოთახი;
-

ქირავნობის საგანი აკმაყოფილებს ხელშეკრულების პირობებს.

შესრულებული სამუშაოს ღირებულება შეადგენს 2000 (ორი ათასი) ლარს დღგ-ს ჩათვლით.

წინამდებარე აქტი შედგენილია ორ ეგზემპლიარად და წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს;

მხარეთა ხელმოწერები:

შპს „თბილისი არტ ჰოლი"	**აიპ "თბილისის ქართული ფოლკლორის მოსწავლეთა სასახლე"**
დირექტორი:	**დირექტორი:**
_____ ნ. გოდერძიშვილი	_____ თ. ანდღულაძე